



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

თხა

თხა (*Capra hircus*), წყვილჩლიქოსანი მცობნავი ცხოველი ძროხისებრთა (*Bovidae*) ოჯახისა. შინაური თ-ის წინაპარია გარეული თ-ის ორი სახეობა - ნიამორი და რქახრახნილი თ., აგრეთვე ამომწყდარი სახეობა - *C. prisca*. თ. მოშინაურებულია დაახლ. 8500 წლის წინათ. გვარში (*Capra*) გაერთიანებულია 8 ქვესახეობა. თ. ადვილად ეგუება სხვადასხვა გარემო პირობებს, რის გამოც მოშენებულია მსოფლიოს თითქმის ყველა ბუნებრივ-ეკოლ. ზონაში. დას. საქართველოში გავრცელებულია მეგრული თ., აღმ. საქართველოში - გაუმჯობესებული ნაჯვარი თ. იგი გამოიყენება რძის, ხორცის, ბეწვის (მატყლის), თივთიკისა და ტყავის მისაღებად. ცოცხლობს 9-10, მაქსიმუმ 17 წელს; სამეურნეო გამოყენების საშ. ვადაა 7-8 წელი. სქესობრივად მწიფდება 5-9 თვის ასაკში, დასაგრილებლად 14-18 თვისას უშვებენ. მაკეობა დაახლ. 5 თვეს გრძელდება. თ. იგებს 1-2, იშვიათად 3 თიკანს.

ზრდასრული მამალი თ-ის (ბოტის) საშ. ცოცხალი მასაა 60-65 კგ მაქს. - დაახლ. 100 კგ დედალი თ-ისა (ნეზვის), შესაბამისად - 40-60 კგ-მდე. ლაქტაციის ხანგრძლივობა 180-320 დღეა. პროდუქტიულობის მიხედვით განასხვავებენ სარძეო, სამატყლე, სათივთიკე და კომბინირებული მიმართულების ჯიშებს. სარძეო ჯიშის დედალი თ. წელიწადში 400-700 კგ რძეს ინველის, რეკორდული მონაწველი 3507 კგ-მდეა. რძის ცხიმოვანობაა 3,5-5,0%. სამატყლე ჯიშის თ-ის მატყლს ერთგვაროვანი ბოჭკოები აქვს. მამალი თ-ის ნაპარსია 4-5 კგ დედლის - 3-5 კგ. სათივთიკე ჯიშებიდან წელიწადში საშ. იღებენ 0,2-0,5 კგ თივთიკს, მაქს. - 2 კგ-მდე. 2013 წლის მონაცემებით, მსოფლიოში აღრიცხულია 300-მდე ჯიშის თ. მათი სულადობა მსოფლიოში აღემატება 1 მილიარდს, ხოლო საქართველოში აღრიცხულია 498 ათ. სული (2015). მსოფლიოში აწარმოებენ 18 მლნ-მდე ტ რძეს და 5 მლნ-ზე მეტ ტ ხორცს (2013).

